



საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40 88

29/11/2018

ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს ხონის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (ს/ნ 244973294) დირექციისათვის ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების ((მის: ქ.ხონი, ჭავჭავაძის ქუჩა, I ჩიხი, N2-ში (ს/კ 37.07.38.536) მდებარე 5772.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-1709.8კვ.მ, შენობა-ნაგებობა N2-19.4კვ.მ, საბალანსო ღირებულებით - 1076000.0 (ერთი მილიონ სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარი)) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).
3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით ხელმოწერისთანავე.

ბახტაძე ვალერი

საკრებულოს თავმჯდომარე

